საქართველოს მთავრობის
განკარგულება №608

2021 წლის 16 აპრილი

ქ. თბილისი

„კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული წესის („კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხა და ჩატარების წესი“):

ა) პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ზ^{1}) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოსული პირები;“;

ბ) 4^{3} პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^{4} პუნქტი:

„4^{4}. ამ წესის პირველი პუნქტის „ზ^{1}“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირების ტესტირება განხორციელდეს შესაბამისი მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ, უპირატესად, ანტიგენის (SARS-CoV-2 Ag) სწრაფი მეთოდით, ამავე ცენტრის მიერ, საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ ორგანიზებულ სპეციალური ტესტირების პუნქტებში.“.

2. განკარგულება ძალაშია 2021 წლის 19 აპრილიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი.**